საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8612/01
13/08/2021

8612-01-2-202108131406

შპს „გლობალ კომპანის“ დირექტორს,
ბატონ ხვიჩა ჯაფარიძეს (პ/ნ 47001009518)
მის: ახალციხე, თამარაშვილის ქ. №2

ბატონო ხვიჩა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 19 ივლისის N12717 სკრინინგის განცხადება, რომელიც ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიას უკანა მხრიდან ესაზღვრება მდინარე ფოცხოვი, ამასთან „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების დროს გათვალისწინებულია და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. ფოცხოვისწყალის (ფოცხოვი) წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 30 მეტრს კალაპოტის კიდიდან. სკრინინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიიდან მდინარემდე მანძილის შესახებ, ამასთან მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 14 მეტრში მიედინება მდ. ფოცხოვი (ფოცხოვისწყალი). **შესაბამისად, დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და მოცემული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის დაცვის შესახებ ინფორმაცია, მდინარემდე საპროექტო ტერიტორიის მანძილის მითითებით.**

ამასთან, სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 100 მ-ით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 86 მეტრში. შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს ახალციხის ციხე კომპლექსი. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე